სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
იუნკერთა სასწავლო ბატალიონი

„იუნკერის ცხოვრების გზა“

შესავალი

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია აბიტურიენტთათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ ოფიცრები და ღირსეულად იმსახურონ თავდაცვის ძალების რიგებში, რათა დაიცვან სამშობლო და ქვეყნის მთლიანობა.

სახელმძღვანელო მოიცავს: აბიტურიენტისათვის სტატუს ,,იუნკერი"- ს მიღების პროცესს, სწავლის დაწყებისწინა მომზადებას (ეროვნული თავდაცვის აკადემიის ტერიტორიის გაცნობა, უსაფრთხოების წესებზე ინსტრუქტაჟის ჩატარება, საცხოვრებელი ოთახებით და ინვენტარით უზრუნველყოფა, სანივთე ქონებით და აღჭურვილობით დაკომპლექტება), სამედიცინო უზრუნველყოფას, საბაკალავრო პროგრამებს, ფიზიკურ მომზადებას, სავალდებულო და არჩევით სპორტულ სექციებს და საბრძოლო მომზადებას (მარშები, საბრძოლო სროლები და ტაქტიკური სწავლებები).

იუნკერი

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარების შედეგები და აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება).

იუნკერის სტატუსი მოიპოვება აკადემიაში პირის ჩარიცხვით, კონტრაქტის/ხელშეკრულების ხელმოწერით, რაც ფორმდება ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით

იუნკერის ცხოვრების გზა

,,იუნკერის ცხოვრების გზა" არის აბიტურიენტის სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვიდან აკადემიაში სწავლის დამთავრებამდე გასავლელი გზა.

პირველ ეტაპზე აბიტურიენტი აბარებს ფიზიკურ ნომრატივებს და გაივლის გასაუბრებას დადგენილი წესის შესაბამისად. შემდგომ ხდება დადებითი შეფასების მქონე აბიტურეიენტების სიის დადგენა. ამ პროცედურის შემდეგ აბიტურენეტები გადიან სამედიცინო შემოწმებას გორის გ. აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალში.

სწავლის დაწყებისწინა მომზადება და სასწავლო პროცესი

აბიტურიენტს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩარიცხვის დღიდან უფორმდება „სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთან გასაფორმებელი კონტრაქტი“, რომლის პირობებსაც ეცნობიან იუნკერთა სასწავლო ბატალიონის იურისტის მიერ, გაწვეულ იქნება სამხედრო სამსახურში და მიენიჭება სამხედრო წოდება **რიგითი**, ხოლო პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გახდეს სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იუნკერი მშობლების თანხმობით.

აკადემიაში ჩარიცხული იუნკერის სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს აკადემიაში იუნკერად ყოფნის პერიოდისა და ოფიცრის თანამდებობაზე 5 (ხუთი) კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის ჯამს.

იუნკერები აკადემიაში ჩარიცხვიდან სამი სასწავლო წლის განმავლობაში (I, II, III კურსი) შეისწავლიან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს (მენეჯმენტი, ინფორმატიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება, მექანიკის ინჟინერია), ასევე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს, ხოლო მეოთხე სასწავლო წელს (IV კურსი) იუნკერები სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩარიცხულ პირად შემადგენლობასთან ტარდება საინფორმაციო შეხვედრები აკადემიის ქვემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების მიერ:

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

1. აკადემიური მოსწრების გამოთვლა;
2. აკადემიური კეთილსინდისიერება.

აკადემიის შტაბის G-1 სამსახურის უფროსი

აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის შტაბის S-1 სამსახურის უფროსი

1. სასწავლო მივლინება - იუნკერის შერჩევისა და წარგზავნის პროცედურები;
2. სამხედრო ID ბარათების გამოყენების წესები და შეზღუდვები
3. სადაზღვეო ბარათებითა და საქვაბე კმაყოფით იუნკერის უზრუნველყოფის პროცედურა;
4. იუნკერთა პირადი საქმეების წარმოება;

აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უფროსი; აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის S-3 სამსახურის უფროსი

აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამხედრო მიმართულების სასწავლო განყოფილების უფროსი:

აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილების უფროსი:

1. აკადემიის დაგეგმარება;
2. საევაკუაციო გეგმა;

3. უსაფრთხოების წესები;
4. სწრაფი რეაგირების ჯგუფების მოქმედებები;
5. სამხედრო საქმე;
6. კრედიტების გამოთვლის წესი;
7. საგნების გადანაწილების მეთოდოლოგია;

აკადემიის შტაბის G-4 სამსახურის უფროსი:
აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის S-4 სამსახურის უფროსი

1. სანივთე/კვების ნორმები/ გაცემის წესი და პერიოდულობა.
2. სანივთე ქონების მოვლის ვალდებულება.

აკადემიის შტაბის G-5 სამსახურის უფროსი

1. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოწოდება/შერჩევის პროცედურების გაცნობა;
2. პარტნიორი ქვეყნებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების გაცნობა/აღნიშნული დაწესებულებების შემოთავაზებების გაცნობა;
3. კონფერენციებში მონაწილეობისთვის იუნკერთა კანდიდატების შერჩევა.

აკადემიის შტაბის G-6 სამსახურის უფროსი
აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის S-6 სამსახურის უფროსი

1. დისტანციური და ონლაინ სწავლებების წარმართვა.
2. იუნკერთა სასწავლო ბატალიონის იუნკერების კორპორაციული ნომრებით უზრუნველყოფა.
3. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციის და გამოყენების წესები.

აკადემიის შტაბის იურიდიული სამმართველოს უფროსი
აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის იურისტი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდება/ დისციპლინური პასუხისმგებლობა და წახალისება;
2. კონტრაქტი - კონტრაქტის პირობები და დარღვევის შედეგები;
3. იუნკერისათვის, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები;
4. იუნკერისათის, სამხედრო სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები;
5. ეთიკის ნორმები;
6. პლაგიატის წესი;
7. საპრეტენზიო კომისიის შესახებ ინფორმაცია.

აკადემიის შტაბის ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი

1. სტიპენდიის გამოთვლა/გაცემის წესი და კრიტერიუმები

აკადემიის შტაბის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
აკადემიის შტაბის უზრუნველყოფის სამსახურის ლაზარეთის უფროსი

1. ლაზარეთში მიმართვიანობისა და ქცევის წესები;
2. სამედიცინო დაზღვევის პაკეტები.

აკადემიის შტაბის უზრუნველყოფის სამსახურის სპორტული კომპლექსის უფროსი

აკადემიის სწავლებების მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის უფროსი

სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ორგანიზებისა და მონიტორინგის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

აკადემიის საგამოცდო ცენტრის უფროსი

1. გამოცდების ჩატარების და შეფასების ინსტრუქცია.
2. საგამოცდო საკითხების რეგულირების წესი.

აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი

1. ILIAS-ის პლადფორმის და დისტანციური სწავლების შესახებ ინფორმაცია.

აკადემიის ბიბლიოთეკის უფროსი

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2. სახელმძღვანელოს მოვლის წესები.

აკადემიის სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახურის უფროსი

1. ფიზიკური მომზადების დონის დამდგენი ტესტირების პერიოდულობა.
2. ფიზიკური მომზადების დონის დამდგენი ტესტირების შემადგენელი ვარჯიშების სახეობები და რაოდენობები ქულების მიხედვით.
3. სპორტული აქტივობების სავალდებულო და არჩევითი სახეობები.

აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

1. აკადემიის გაზეთის შესახებ ინფორმაცია.

აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი

1. ინფორმაცია სამეცნიერო კონფერენციების შესახებ.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში გამოცხადების შემდეგ იუნკერებს კურსის უფროსი აცნობს ბაზის ტერიტორიაზე არსებული შენობების განლაგებასა და დანიშნულებას, ასევე ბაზაზე მოქცევისა და უსაფრთხოების წესებს.

თითოეული იუნკერისთვის გამოიყოფა საცხოვრებელი ოთახი, რომელშიც განთავსებული იქნება შემდეგი სახის ინვენტარი:

1. საწოლი;
2. კარადა;
3. მაგიდა;
4. სკამი;
5. მაგიდის სანათი;
6. თარო.

კარადა

სკამი და მაგიდა სანათით

საწოლი

თარო

იუნკერები უზრუნველყოფილი იქნებიან შედეგი სახის სანივთე ქონებით:

1. საველე ფორმა ქუდით;
2. ქურთუკი მათბუნებლით;
3. მაისური;
4. ფეხსაცმელი მაღალყელიანი;
5. ფეხსაცმელი დაბალყელიანი;
6. ხელთათმანი ნაქსოვი;
7. ქუდი თბილი ნაქსოვი;
8. სპორტული ტანსაცმელი;
9. ყურთასმენის დამცავი;

10. ზურგჩანთა;
11. ზურგჩანთა-ტაქტიკური;
12. ჩაფხუტის შალითა;
13. ჩაფხუტი;
14. ფანარი;
15. სპორტული ფეხსაცმელი(ბოტასი);
16. სპორტული მაისური;
17. სპორტული შორტი;
18. საძილე ტომარა;
19. პარალონი;
20. მათარა შალითით;
21. განტვირთვის ჟილეტი;
22. კარდალა;
23. მათარა ზურგის "ქემელბექი";
24. საწვიმარი პონჩო;
25. საქარე შარვალი;
26. სარეცხი ტომარა;
27. ჰალსტუხი;
28. ბერეტი (შავი);
29. სამხედრო მოსამსახურის ყოველდღიური ფორმა პიჯაკი და შარვალი;
30. ქამარი შარვლის;
31. ქამარი აღჭურვილობის;
32. სასაპნე;
33. დაფალბეგი;
34. პირსახოცი აბანოსი;
35. პირსახოცი ხელის;
36. მესანგრის მცირე ნიჩაბი შალითით.
37. ლეპტოპი იუნკერს გადაეცემა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის დასრულების შემდეგ, რომელიც ექნება აკადემიაში სწავლის პერიოდში, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ გადაეცემა უვადო სარგებლობაში.

იუნკერთა I კურსი

იუნკერთა I კურსზე ჩარიცხვისთანავე იუნკერები გაივლიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე აკადემიაში ახლადჩარიცხული სამოქალაქო პირი გარდაიქმნება სამხედრო მოსამსახურედ. კურსის პერიოდში ხდება იუნკერის ფიზიკური ამტანობის, მძიმე სტრესულ სიტუაციაში ემოციური მდგრადობისა და ბაზისური სამხედრო უნარების განვითარება, მასში სამხედრო დისციპლინის ჩამოყალიბება და იმ გამოწვევებისათვის მომზადება, რომელიც მას საქართველოს თავდაცვის ძალების სისტემაში სამსახურის პერიოდში შეხვდება.

საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე იუნკერი შეისწავლის შემდეგ სამხედრო თემებს:

1. ტაქტიკური მომზადება;
2. საცეცხლე მომზადება;
3. სამხედრო ტოპოგრაფია;
4. სამწყობრო მომზადება;
5. შინაგანი სამსახურის წესდება;
6. სამხედრო საყარაულო წესდება;
7. სამხედრო სადისციპლინო წესდება;
8. სამედიცინო მომზადება;
9. კავშირგაბმულობა;
10. საინჟინრო მომზადება;
11. სახელმწიფოებრივი მომზადება;
12. ფიზიკური მომზადება.

საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იუნკერის ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას: თუ კურსის ხელმძღვანელობა დააფიქსირებს იუნკერის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ისეთ პრობლემას, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მას კურსის მოთხოვნების შესრულებაში, იუნკერი იგზავნება გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში და სამხედრო საექიმო კომისიის მიერ შესაბამისი დასკვნის საფუძველზე განიხილება მის მიერ კურსის გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხი.

შენიშვნა:

1. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიმდინარეობისას იუნკერები დათხოვნით არ სარგებლობენ.

2. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის წარუმატებლად გავლის შემთხვევაში იუნკერს არ დაეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა, ჯარიმა.

საწყისი საბრძოლო მომზადების დასრულების შემდეგ იუნკერებს დასვენებისათვის ეძლევათ კვირაში არანაკლებ ერთი დღე, სასწავლო გეგმის შესაბამისად.

საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულების შემდეგ იუნკერები ირიცხებიან იუნკერთა I კურსის იუნკერებად და სწავლას აგრძელებენ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს 5 მიმართულებას:

1. თავდაცვა და უსაფრთხოება საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამა;
3. მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა;
4. მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამა;
5. ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (არაქართულენოვანი იუნკერებისათვის).

- იუნკერთა I კურსის იუნკერები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს.
- იუნკერთა I კურსის იუნკერებს აქვთ როგორც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში ისე სამხედრო საქმეში შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე აქვთ დიაგნოსტიკური და სემესტრული ფიზიკური დონის დამდგენი ტესტირებები, რომლებიც ტარდება სასწავლო წელში ორჯერ.
- იუნკერებს უტარდებათ ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების გეგმით გაწერილი სწავლებები;
    1. კომბინირებული ტაქტიკური მოქმედებები;
    2. საცეცხლე მომზადება(სიმულაციური ცენტრი);
    3. ქვეითთა საშტატი იარაღების გაცნობითი მეცადინეობები;
    4. პეინტბოლი.

- იუნკერთა I კურსის იუნკერები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ ადმინისტრაციულ მარშებში, რომელიც ტარდება სემესტრში 4-ჯერ.
- იუნკერთა I კურსის იუნკერები ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ასრულებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ სასწავლო სროლების სავარჯიშოებს.
- იუნკერთა I კურსის იუნკერები გრაფიკის მიხედვით ასრულებენ დაბრკოლებათა ხაზის გადალახვას თვეში 2-ჯერ;
- იუნკერთა I კურსის ყველა იუნკერისთვის სავალდებულოა ცურვისა და ხელჩართული ბრძოლის სექცია, ასევე იუნკერებს შეუძლიათ აირჩიონ დამატებითი სპორტული სექციები და კულტურული აქტივობები.

  სპორტული სექციები მოიცავს:
    1. კრივი;
    2. კალათბურთი;
    3. რაგბი;
    4. ჭიდაობა(ძიუდი/თავისუფალი);
    5. მინი ფეხბურთი;
    6. ფრენბურთი.

  კულტურული აქტივობები მოიცავს:
    1. ცეკვის წრე;
    2. მუსიკალური ბენდი.

- აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერთა I კურსის იუნკერები ყოველდღიურად იღებენ მონაწილეობას დილის გამამხნევებელ ვარჯიშსა და შუადღის ფიზიკურ მომზადებაში, ასევე გრაფიკით განსაზღვრულ დღეებში არჩევით სპორტულ სექციებში და კულტურულ აქტივობებში.
- იუნკერთა I კურსის იუნკერებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ (აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.
- იუნკერთა I კურსის იუნკერები საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულების შემდეგ, მიღებენ 200 ლარიან სტიპენდიას I სემესტრის განმავლობაში. მეორე სემესტრიდან I

კურსის ყველა იუნკერი მიიღებს 200 ლარიან სტიპენდიას სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო 100, 200 და 300 ლარიანი დანამატი, იუნკერებს დაემატებათ გასული სემესტრის რანჟირების შესაბამისად.

- იუნკერთა I კურსის იუნკერები სასწავლო წლის განმავლობაში ისარგებლებენ მხოლოდ შაბათ-კვირის დათხოვნებით.

- **იუნკერთა I კურსის იუნკერები საწყისი საბრძოლო მომზადების(BCT) კურსის დასრულების შემდეგ გაივლიან საველე სწავლებებს:**
  1. **საცეცხლე მომზადება:**
     - ამერიკული შაშხანიდან (M4) საბრძოლო სროლები.
  2. **მარტოხელა მებრძოლის კურსი რომელიც მოიცავს:**

     სამედიცინო მომზადება
     - ჭრილობის შეხვევას;
     - მოტეხილობა;
     - ჭრილობა და სისხლდენა;
     - ლახტის დადების წესი;
     - დაჭრილთა ევაკუაციის ეტაპები;

     თვითგადარჩენა
     - გადარჩენის ფსიქოლოგია;
     - საერთაშორისო სამაშველო სიგნალები;
     - საქართველოს კლიმატური ზონები;
     - წყლის მოპოვება და გაფილტვრას;
     - ცეცხლის დანთებას სხვადასხვა ხერხით;
     - ცეცხლის გადატანას;
     - ცეცხლის შენიღბვას;
     - თავშესაფარისა და ბანაკის მოწყობას;
     - საკვების მოპოვებას, მომზადებას და შენახვას;
     - შხამიანი მცენარეების გარჩევას;
     - იარაღის დამზადებას საველე პირობებში;
     - მახეების მოწყობას და მათი საშუალებით ნადირობას;
     - მახეების მოწყობის წესები.

     ტაქტიკა
     - ხელის ნიშნები;
     - ინდივიდუალური გადაადგილების ხერხები;
     - გადაადგილების ხერხები;
     - საცეცხლე ჯგუფის სტრუქტურა და დანიშნულება;
     - საცეცხლე ჯგუფის საბრძოლო წყობები;
     - სათვალთვალო საგუშაგოს მოწყობა;
     - სათვალთვალო საგუშაგოს მოწყობა;
     - სადაზვერვო ინფორმაციის მოხსენება SALUTE-ის ფორმატით;
     - დაკავებულის ჩხრეკა;
     - 100 კილომეტრიანი ტაქტიკური მარში;

იუნკერთა II კურსი

- იუნკერთა I კურსის იუნკერები კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ირიცხებიან იუნკერთა II კურსის იუნკერებად და „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან I და II კურსზე ათეულის დონის დროებით შტატის სამეთაურო თანამდებობებზე.
- იუნკერთა II კურსის იუნკერები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს.
- იუნკერებს უტარდებათ ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების გეგმით გაწერილი სწავლებები;
    1. კომბინირებული ტაქტიკური მოქმედებები;
    2. საცეცხლე მომზადება(სიმულაციური ცენტრი);
    3. ქვეითთა საშტატი იარაღების გაცნობითი მეცადინეობები;
    4. პეინტბოლი.
- იუნკერთა II კურსის იუნკერები გრაფიკის მიხედვით ასრულებენ დაბრკოლებათა ხაზის გადალახვას თვეში 2-ჯერ;
- იუნკერები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ ადმინისტრაციულ მარშებში, რომელიც ჩატარდება სემესტრში 4-ჯერ.
- II კურსის იუნკერები ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ასრულებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ სასწავლო სროლების სავარჯიშოებს.
- იუნკერთა II კურსის ყველა იუნკერისთვის სავალდებულოა ცურვისა და ხელჩართული ბრძოლის სექცია, ასევე იუნკერებს შეუძლიათ აირჩიონ დამატებითი სპორტული სექციები და კულტურული აქტივობები.

  სპორტული სექციები მოიცავს:
    1. კრივი;
    2. კალათბურთი;
    3. რაგბი;
    4. ჭიდაობა(ძიუდი/თავისუფალი);
    5. მინი ფეხბურთი;
    6. ფრენბურთი.

  კულტურული აქტივობები მოიცავს:
    1. ცეკვის წრე;
    2. მუსიკალური ბენდი.

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერთა II კურსის იუნკერები ყოველდღიურად იღებენ მონაწილეობას დილის გამამხნევებელ ვარჯიშსა და შუადღის ფიზიკურ მომზადებაში, ასევე გრაფიკით განსაზღვრულ დღეებში არჩევით სპორტულ სექციებში, კულტურული აქტივობებში.
- იუნკერთა II კურსის იუნკერებს აქვთ, როგორც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში ისე სამხედრო საქმეში შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე აქვთ დიაგნოსტიკური და სემესტრული ფიზიკური დონის დამდგენი ტესტირებები, რომლებიც ტარდება სასწავლო წელში ორჯერ.

- იუნკერთა II კურსის იუნკერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ (აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით).
- იუნკერთა II კურსის ყველა იუნკერი მიიღებს 200 ლარიან სტიპენდიას სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო 100, 200 და 300 ლარიანი დანამატი, იუნკერებს დაემატებათ გასული სემესტრის რანჟირების შესაბამისად.
- იუნკერთა II კურსის იუნკერები სასწავლო წლის I სემესტრის განმავლობაში ისარგებლებენ შაბათ-კვირის დათხოვნებით, ხოლო II სემესტრის განმავლობაში ყოველდღიური და შაბათ-კვირის დათხოვნებით.

- **იუნკერთა II კურსის იუნკერები გაივლიან შემდეგ საველე სწავლებებს:**

1. **საცეცხლე მომზადება.**
   - ამერიკული შაშხანიდან (M4) საბრძოლო სროლები.
   - ქვეითთა საშტატო იარაღებიდან საბრძოლო სროლები.
2. **სამთო მომზადების კურსი.**
   - თოკით კვანძების გაკეთება;
   - კლდიდან თოკით დაშვება;
   - კედზე ცოცვა;
   - მდინარის ფორსირება;
   - დაშავებულის ამოყვანა;
   - სამთო ტაქტიკური მარშები სხვადასხვა დისტანციებზე.

იუნკერთა III კურსი

- იუნკერთა II კურსის იუნკერები კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ირიცხებიან იუნკერთა III კურსის იუნკერებად „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან იუნკერთა I, II და III კურსზე ათეულის, ოცეულის და ასეულის დონის დროებით შტატის სამეთაურო თანამდებობებზე.
- იუნკერთა III კურსის იუნკერები საბაკალავრო პროგრამების თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს.
- იუნკერებს უტარდებათ ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების გეგმით გაწერილი სწავლებები;
  1. კომბინირებული ტაქტიკური მოქმედებები;
  2. საცეცხლე მომზადება(სიმულაციური ცენტრი);
  3. ქვეითთა საშტატი იარაღების გაცნობითი მეცადინეობები;
  4. პეინტბოლი.

- იუნკერთა III კურსის იუნკერები გრაფიკის მიხედვით ასრულებენ დაბრკოლებათა ხაზის გადალახვას თვეში 2-ჯერ;
- იუნკერთა III კურსის იუნკერები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ ადმინისტრაციულ მარშებში, რომელიც ჩატარდება სემესტრში 4-ჯერ.
- იუნკერთა III კურსის იუნკერები ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ასრულებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ სასწავლო სროლების სავარჯიშოებს.
- იუნკერთა III კურსის ყველა იუნკერისთვის სავალდებულოა ცურვისა და ხელჩართული ბრძოლის სექცია, ასევე იუნკერებს შეუძლიათ აირჩიონ დამატებითი სპორტული სექციები და კულტურული აქტივობები.

  სპორტული სექციები მოიცავს:
    1. კრივი;
    2. კალათბურთი;
    3. რაგბი;
    4. ჭიდაობა(ძიუდი/თავისუფალი);
    5. მინი ფეხბურთი;
    6. ფრენბურთი.

  კულტურული აქტივობები მოიცავს:
    1. ცეკვის წრე;
    2. მუსიკალური ბენდი.

  აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერთა III კურსის იუნკერებს ყოველდღიურად იღებენ მონაწილეობას დილის გამამხნევებელ ვარჯიშსა და შუადღის ფიზიკურ მომზადებაში ასევე გრაფიკით განსაზღვრულ დღეებში არჩევით სპორტულ სექციებში და კულტურული აქტივობებში.
- იუნკერთა III კურსის იუნკერებს უტარდებათ როგორც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ისე სამხედრო საქმეში შუალედური და დასკვნითი გამოცდები,
- იუნკერთა III კურსის იუნკერებს უტარდებათ დიაგნოსტიკური და სემესტრული ფიზიკური დონის დამდგენი ტესტირებებისასწავლო წელში ორჯერ.
- იუნკერთა III კურსის იუნკერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ (აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით).
- იუნკერთა III კურსის ყველა იუნკერი მიიღებს 200 ლარიან სტიპენდიას სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო 100, 200 და 300 ლარიანი დანამატი, იუნკერებს დაემატებათ გასული სემესტრის რანჟირების შესაბამისად.
- იუნკერთა III კურსის იუნკერები სასწავლო წლის განმავლობაში ისარგებლებენ ყოველდღიური და შაბათ-კვირის დათხოვნებით.
- **იუნკერთა III კურსის იუნკერები გაივლიან საველე სწავლებებს:**
    1. **საცეცხლე მომზადება.**
    - ამერიკული შაშხანიდან (M4) საბრძოლო სროლები.
    - ქვეითთა საშტატო იარაღებიდან საბრძოლო სროლები.
    2. **ტოპოგრაფიული და ტაქტიკური მომზადება.**

       ტოპოგრაფია
       1. კომპასის შესწავლა და ჰორიზონტის მხარების განსაზღვრა;

2. კომპასის გარეშე ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა;
3. ბინოკლით და სახაზავით საგნამდე მანძილის გაზომვა;
4. რუკის წაკითხვა;
5. რუკაზე კოორდინატების დატანა;
6. რუკით და კომპასით წერტილების მოძებნა;
7. ღამით ციური სხეულებით მოძრაობა და ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა;

3. ტაქტიკა

1. გადაადგილების ხერხები;
2. გადაადგილების წყობები;
3. სახიფათო ზონების გადალახვა;
4. შეჩერების დროს უსაფრთხოების დამყარება;
5. კონტაქტზე რეაგირება;
6. ჩასაფრებაზე რეაგირება;
7. საპატრულო ბაზის დაკავება;
8. რეიდი;
9. ჩასაფრება;
10. მოქმედების შემდგომი მიმოხილვა (სწავლების შემდეგომ).

4. წყალზე მომზადების კურსი:

1. ცურვა ბრასით 50 – 500 მეტრი;
2. ცურვა ბრასით (ღამით) 300 მეტრი;
3. ტივების მომზადება და გამოყენება;
4. ცურვა ტივების გამოყენებით 100 მეტრი;
5. ცურვა სამხედრო ფორმით (დღე) 200 მეტრი;
6. ცურვა სამხედრო ფორმით (ღამე) 200 მეტრი;

- იუნკერთა III კურსის იუნკერებს აქვთ გაცნობითი ხასიათის ვიზიტები საქართველოს თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში, რათა მიიღონ დამატებითი ინფორმაცია მათ მიერ ასარჩევი გვარეობების შესახებ (ქვეითი, მექანიზებული, დაზვერვა და სხვა), უშუალოდ გაეცნონ ქვედანაყოფების სტრუქტურას, ტექნიკას, შეიარაღებას და ქვედანაყოფის ამოცანებს.
- იუნკერთა III კურსის იუნკერები სასწავლო წლის ბოლოს დაიცავენ საბაკალავრო ნაშრომს და გააგრძელებენ სამხედრო საქმის სწავლას.

იუნკერთა IV კურსი

- იუნკერთა III კურსის იუნკერები კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ირიცხებიან იუნკერთა IV კურსის იუნკერებად და „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან იუნკერთა IV კურსის ათეულის, ოცეულის და ასეულის დონის დროებით შტატის სამეთაურო თანამდებობებზე.
- იუნკერთა IV კურსის იუნკერები სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს.
- იუნკერები მონაწილეობას იღებენ გეგმებით გაწერილ ტაქტიკურ სწავლებებში:

1. ათეულის საველე გასვლა;
- ათეულის თავდაცვითი პოზიციების დაკავება;
- სანგარსავალში შესვლა და მოწინააღმდეგესგან გაწმენდა;
- ბუნკერის აღება.

2. ტოპოგრაფიული მომზადება;
- ტრავერსი (წერტილების პოვნა კოორდინატებით).

3. საცეცხლე მომზადება:
- ავტომატური კარაბინით M4-ით სასწავლო სროლები.

4. ტაქტიკური მომზადება;
- დანაღმული მავთულხლართიანი დაბრკოლების გადალახვა;
- სანგარსავალში შესვლა და მისი მოწინააღმდეგისგან გაწმენდა;
- ბუნკერის აღება.

5. ოცეულის საცეცხლე მომზადება;
- ტყვიამფრქვევი;
- რპგ-7;
- აგს-17;
- უბეჯეილი.

6. საველე გასვლა (ბრძოლა დასახლებულ პუნქტში);
- შენობის იზოლირება;
- შენობაში შესვლა და ოთახის მოწინააღმდეგისგან გაწმენდა;
- შენობის გამაგრება არსებული საშუალებებით;

7. საველე გასვლა;
- ოცეულის შეტევა.

8. ოცეულის საცეცხლე მომზადება:
- ავტომატური კარაბინით M4-ით სასწავლო სროლები.

9. საველე გასვლა:
- ოცეულის თავდაცვითი პოზიციების დაკავება.

10. საპატრულო ოპერაციები.
- ჩასაფრება;
- რეიდი;
- საპატრულო ბაზის დაკავება;

- იუნკერები მონაწილეობას იღებენ გეგმებით გაწერილ ადმინისტრაციულ და ტაქტიკურ მარშებში.
- საჯარისო სამსახურის შესრულებისათვის იუნკერები პრაქტიკულად შეასრულებენ ქვედანაყოფის მორიგის, მორიგის თანაშემწისა და გუშაგის მოვალეობებს.

➢

- ➢ იუნკერები ასრულებენ სასწავლო წლის გეგმა-კალენდრით გაწერილ საცეცხლე მომზადებაში პრაქტიკული მეცადინეობის გეგმის მიხედვით სასწავლო სროლის სავარჯიშოებს.

- ➢ იუნკერებს უტარდებათ საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე შეჯიბრი პეინტბოლში.
- ➢ იუნკერთა IV კურსის იუნკერები გრაფიკის მიხედვით ასრულებენ დაბრკოლებათა ხაზის გადალახვას თვეში 2-ჯერ.
- ➢ აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერთა IV კურსის ყველა იუნკერს შეუძლია აირჩიოს დამატებითი სპორტული სექციები და კულტურული აქტივობები.
  სპორტული სექციები მოიცავს:
    1. კრივი;
    2. კალათბურთი;
    3. რაგბი;
    4. ჭიდაობა(ძიუდი/თავისუფალი);
    5. მინი ფეხბურთი;
    6. ფრენბურთი.

კულტურული აქტივობები მოიცავს:

1. ცეკვის წრე;
2. მუსიკალური ბენდი.

- იუნკერთა IV კურსის იუნკერებს უტარდებათ სამხედრო საქმეში შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე დიაგნოსტიკური და სემესტრული ფიზიკური დონის დამდგენი ტესტირებები რომლებიც ტარდება სასწავლო წელში ორჯერ.
- IV კურსის იუნკერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ (აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით).
- იუნკერთა IV კურსის ყველა იუნკერი მიიღებს 200 ლარიან სტიპენდიას სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო 100, 200 და 300 ლარიანი დანამატი, იუნკერებს დაემატებათ გასული სემესტრის რანჟირების შესაბამისად.
- იუნკერთა IV კურსის იუნკერები სასწავლო წლის განმავლობაში ისარგებლებენ ყოველდღიური და შაბათ-კვირის დათხოვნებით.
- იუნკერთა IV კურსის იუნკერებს სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, ეროვნული თავდაცვის აკადემიის დაარსების დღეს 20 აგვისტოს ჩაუტარდებათ გამოშვების ცერემონიალი.

საერთო ღონისძიებები

- აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერებს ყოველდღიურად შეუძლიათ თავისუფალ დროს (18:00 საათიდან 21:00 საათამდე) ისარგებლონ სარეკრიაციო ზონით (ბილიარდი, მაგიდის ჩოგბურთი, კაფე) და ბიბლიოთეკით, ასევე შეუძლიათ ივარჯიშონ სპორტ-დარბაზში (18:00 საათიდან 21:00 საათამდე).

რეკრეაცია

ბიბლიოთეკა

სპორტული დარბაზი

- აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერები უზრუნველყოფილები არიან სამჯერადი კვებით (საუზმე, სადილი, ვახშამი).

სასადილო

- აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერები ვალდებულები არიან მხედრულად მიესალმონ როგორც წოდებით უფროსს (სერჟანტ/ოფიცერს) ასევე წოდებით თანაბარს.
- აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერები მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს ჩააბარებენ საგამოცდო ცენტრში ელექტრონული სახით (ILIAS-ის პლადფორმაზე).

საგამოცდო ცენტრი

- იუნკერები ეროვნული თვადცვის აკადემიაში უზრუნველყოფილნი არიან საყოფაცხოვრებო მომსახურებით სამრეცხაო და სადალაქოთი.

სამრეცხაო **სადალაქო**

- იუნკერები სწავლის პერიოდში ისარგებლებენ უფასო სამედიცინო მომსახურეობით ეროვნული თავდაცვის აკადემიის ლაზარეთში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გიორგი აბრამიშვილის სახელობის გორის სამხედრო ჰოსპიტალის მომსახურებით.

- იუნკერებს ინდივიდუალური დონის საბრძოლო მომზადების გეგმის მიხედვით უტარდებათ შეჯიბრი პეინტბოლში და კურსის უფროსების მოთხოვნის საფუძველზე დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა.

- სასწავლო წლის განმავლობაში იუნკერები ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის N02 ბრძანების საფუძველზე წლის განმავლობაში ორჯერ აბარებენ სემესტრული ფიზიკური მომზადების დონის დამდგენ ტესტირებებს.

- იუნკერთა IV კურსის იუნკერები სამხედრო საქმეში სასწავლო პროგამების დასრულების შემდეგ, საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში გაივლიან სტაჟირებას ოცეულის მეთაურის რანგში.
- იუნკერთა IV კურსის იუნკერებთან სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ვიზიტები საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და სახელმწიფო მნიშნელობის მქონე ობიექტებში.